საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2660 2017 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

„გარდაბნის მუნიციპალიტეტში 230 მგვტ სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის პროექტის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 სექტემბრის №1932 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „გარდაბნის მუნიციპალიტეტში 230 მგვტ სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის პროექტის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 სექტემბრის №1932 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. შპს „გარდაბნის თბოსადგურ 2-ს“ მიეცეს უფლება, ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ღირებულებაში ასახოს შემსყიდველის მხრიდან გადასახდელი გადასახადების საორიენტაციო მოცულობა – 32 259 077 აშშ დოლარი (დღგ და საიმპორტო გადასახადები) და

იმავე ხელშეკრულების ღირებულება 159 013 232 აშშ დოლარის (დღგ-ისა და საიმპორტო გადასახადების გარეშე) ნაცვლად, განისაზღვროს 191 272 309 აშშ დოლარით (საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით).“.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი